ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 281

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2020 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2018 წლის თებერვლიდან 2020 წლის მაისის ჩათვლით)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/ წლის 24 ივნისს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №251 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2018 წლის თებერვლიდან 2020 წლის მაისის ჩათვლით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2018 წლის თებერვლიდან 2020 წლის მაისის ჩათვლით) დამაკმაყოფილებლად.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას
თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის
№ 281 განკარგულების დანართი

ა ნ გ ა რ ი შ ი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“
გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2018 წლის თებერვლიდან 2020 წლის
მაისის ჩათვლით)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისი“ (შემდგომ, „ქუთგანათების სერვისი“) შეიქმნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №46 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 იანვრის №25 ბრძანების საფუძველზე. მის ფუნქციურ დანიშნულებაში შევიდა გარე განათებისა (16000 წერტილი) და შუქნიშნების სისტემების (29 ობიექტი) მოვლა-პატრონობა-შენახვა. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ბოძების, სანათი წერტილებისა და შუქნიშნის სისტემების მოწყობა. ასევე, იქედან გამომდინარე, რომ „ქუთგანათების სერვისი“ საგზაო მოძრაობის რეგულირების გაუმჯობესებისათვის შეიქმნა, მას ფუნქციურად დაევალა საგზაო ნიშნების შეძენა, მოწყობისა და გზების მონიშვნითი და მარკირების სამუშაოების წარმოება.

„ქუთგანათების სერვისის“ ბიუჯეტმა შეადგინა 3 463 000 ლარი, ხოლო საშტატო ნუსხა განისაზღვრა 47 საშტატო და 3 შტატგარეშე თანამშრომლით.

აღნიშნული იურიდიული პირის შექმნის აუცილებლობა გამომდინარეობდა ეკონომიკური გათვლებისა და პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ანალიზი გაკეთებული იყო 2015, 2016, 2017 წლების ხარჯებიდან და საგზაო მოძრაობის რეგულირების ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროებიდან გამომდინარე, კერძოდ:

2017 წელს გარე განათებისა და შუქნიშნების სისტემების ექსპლუატაციისათვის ქალაქ ქუთაისის მერიამ № SPA 160030098 ელექტრონული შესყიდვის საფუძველზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „გლობალ სერვისისთან“ 2 404 423 ლარზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში შედიოდა მხოლოდ გარე განათებისა და შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, ასევე დამატებითი სანათი წერტილების მოწყობა, ხოლო 2017 წელს მოხმარებულმა ელ. ენერგიის ხარჯმა (აბონ. 1219923300, 1216310152, 2110231710, 1910119140) შეადგინა 2 182 485 ლარი. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, გარე განათებისა და შუქნიშნების ექსპლუატაციისა და მოხმარებული ელ. ენერგის საფასურის ხარჯმა (საგზაო ნიშნებისა და მონიშვნითი სამუშაოების გარდა) შეადგინა 4 586 908 ლარი.

რაც შეეხება ახალი შუქნიშნების მოწყობაზე (სავარაუდოდ, ერთი გზაჯვარედინის შუქნიშნის მოწყობა 39000 ლარი), საგზაო ნიშნების შესყიდვა – მოწყობაზე (სავარაუდოდ, ერთი საგზაო ნიშნის შესყიდვა – მოწყობა 100 ლარი) და გზების დახაზვა – მარკირებაზე (საგზაო მარკირების ხაზი 1 კვ.მეტრი დაახლოებით, 11 ლარი) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა გამოეცხადებინა დამატებითი ტენდერები, რაც თავის მხრივ, სამუშაოების შესრულების დროის გაჭიანურებასა და დამატებითი ხარჯების გამოყოფას მოითხოვდა ბიუჯეტში.

თუ გავაკეთებთ ანალიზს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „ქუთგანათების სერვისის“ შექმნამდე, ქალაქ ქუთაისის მერია გარე განათებისა და შუქნიშნების სისტემების გამართული ფუქციონირებისათვის ხარჯავდა 4 586 908 ლარს, ხოლო „ქუთგანათების სერვისის“ შექმნის შემდეგ, დაფინანსებამ შეადგინა 3 463 000 ლარი, საიდანაც ელ. ენერგიის ხარჯმა ეფექტური გადაკონტროლების (აღგდა გარე განათების ჩართვა-გამორთვის ავტომატური მართვის პროგრამა) გამო შეადგინა 2 105 474 ლარი. „ქუთგანათების სერვისიმა“ გადაიხადა 1 836 413 ლარი, ხოლო ნაწილი - 269 061 ლარი – ქალაქ ქუთაისის მერიამ, სანამ აღრიცხვის კვანძები გადაეცემოდა „ქუთგანათების სერვისს“. აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქუთგანათების სერვისის“ შემთხვევაში, საერთო ხარჯი შემცირდა 1 123 908 ლარით, მათ შორის ელ. ენერგიის ხარჯი ეფექტური გადაკონტროლების საფუძველზე შემცირდა 77 011 ლარით.

თუ შევადარებთ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯის დინამიკას, რეალურად შევხედავთ აღნიშნული ხარჯის საგრძნობ კლებას 2017 წელთან შედარებით (2017 წელი - 2 182 485 ლარი; 2018 წელი - 2 105 474 ლარი; 2019 წელი - 1 913 346 ლარი). აღნიშნული ხარჯის კლება გამოწვეულია ქალაქში არსებული „ДнАТ“ ნატრიუმის შემცველი სანათების ჩანაცვლებით „LED“ დიოდური ტიპის სანათებით. 250 ვატიანი ჩანაცვლებულია 120 ვატიანი დიოდურით, ხოლო 150 ვატიანი 90 ვატიანი დიოდურით. სულ ქალაქში 16 200 სანათი წერტილიდან ჩანაცვლებულია 14 000 სანათი წერტილი.

ასევე, „ქუთგანათების სერვისის“ მიერ განხორციელდა ქალაქში განთავსებული სტადიონების დაზიანებული სანათებისა და სისტემების აღდგენა.

მოწესრიგდა გარე განათების მართვის კარადების მოწყობილობები, რამაც თავის მხრივ, მასალების ნაკლები ხარჯი გამოიწვია.

ქალაქში განხორციელდა რამდენიმე სკვერის ფასადის დეკორატიული განათება.

მიმდინარეობს ძირითადად სკოლებისა და ბაღების წინა ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა.

„ქუთგანათების სერვისის“ ბიუჯეტის ფარგლებში (3 463 000 ლარი) განხორციელდა ერთი რეგულირებადი და ორი გზაჯვარედინის სისტემური შუქნიშნის მოწყობა, ასევე მოხდა მონიშვნითი ხაზებისა და ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელების დახაზვა ქალაქის მთელ ტერიტოიაზე, რაც თავისთავად, 2017 წელს დამატებით ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. „ქუთგანათების სერვისმა“ ასევე, აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში (ორი წლის პერიოდში 2018 – 2019 წლები) შეიძინა საგზაო მარკირების მანქანა (170 000 ლარი), ორი კოშკურა ამწე კალათა (129 000 ლარი), სატვირთო მანქანა (20400 ლარი) და კურიერის ტიპის მსუბუქი მანქანა (26 000 ლარ), რომელთა ხარჯებითაც შემცირებულა 2020 წლის დაფინასება, თუმცა საახალწლო ღონისძიებების ხარჯების გადმოცემის გამო ბიუჯეტი დარჩა 3 400 000, მაგრამ წინა წლებთან შედარებით 63 000 ლარით ნაკლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ შექმნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ ეკონომია გააკეთა ქალაქის ბიუჯეტში გარე განათების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნებისა და მარკირება-მონიშვნითი ხაზების სამუშაო პროცესების ორგანიზებისათვის. ასევე დაასაქმა 50 პიროვნება, რაც თავის მხრივ, საკითხის ეფექტური და მიზნობრივი გადაწყვეტილების მსჯელობის საფუძველს იძლევა.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომაზე, 2020 წლის 24 ივნისს, წარმოდგენილ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორის, მალხაზ ბასილაძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია